საინფორმაციო ბიულეტენი | სექტემბერი

ნინო წილოსანი გაეროს თანასწორობის თაობის ლიდერთა ჯგუფის წევრად იქნა არჩეული

გაეროს თანასწორობის თაობის ლიდერთა წარმომადგენლობით ჯგუფში ნინო წილოსანი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტს, როგორც მრჩეველი და მხარდამჭერი. მომავალი ოთხი წლის განმავლობაში იგი მიიღებს მონაწილეობას თანასწორობის თაობის ინიციატივებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.
თანასწორობის თაობის ფორუმი, რომლის პირველი ფორუმი 2021 წელს მეხიკოსა და პარიზში ჩატარდა, წარმოადგენს პლატფორმას, რომელზეც მსოფლიოს ლიდერებმა აიღეს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების ექვსი თემატური მიმართულებით.
საქართველო შეუერთდა თანასწორობის თაობის ფორუმს და გლობალური მობილიზაციის ფარგლებში აიღო სახელმწიფო ვალდებულებები ორი თემატურ მოქმედებათა კოალიციის ფარგლებში - გენდერული ნიშნით ძალადობის აღმოფხვრა და ინოვაცია და ტექნოლოგიები გენდერული თანასწორობისთვის.

წელს პირველად პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ორ გამარჯვებულს მადლობა გამოუცხადა გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საქმეში შეტანილი წვლილისთვის

მიმდინარე წლის 22 სექტემბერს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს კონკურსის დაჯილოდების ცერემონია ჩატარდა და საბჭომ კონკურსში გამოვლენილ ორ გამარჯვებულს - გოგი რევიასა და იულია ხარაშვილს მადლობა გამოუცხადა გენდერული თანასწორობის კუთხით შეტანილი წვლილისათვის.
აღნიშნული ყოველწლიური ღონისძიების ფარგლებში სპეციალური მადლობის ჯილდო გადაეცა შვედეთის ელჩს, რომელიც პირადი ჩართულობით და მისი ქვეყნის ფინანსური კონტრიბუციით ერთ-ერთი ჩემპიონია გენდერული თანასწორობის პრინციპების დამკვიდრებაში.

რეგიონული შეხვედრა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ

მიმდინარე წლის 1 სექტემბერს საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანმა მონაწილეობა მიიღო რეგიონულ შეხვედრაში, რომელიც გაიმართა გაეროს N1325 რეზოლუციის ლოკალიზაციის ფარგლებში.
ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა რეგიონში გაეროს წევრი სახელმწიფოების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მობილიზება ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებისთვის ქმედითი ნაბიჯების გადასადგმელად.

საინფორმაციო ბიულეტენი | სექტემბერი

გასვლითი სამუშაო შეხვედრა მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოებთან და პანკისის უხუცეს ქალთა საბჭოს წარმომადგენლებთან

მიმდინარე წლის **24** სექტემბერს მორიგი სამუშაო შეხვედრა ჩატარდა მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის ადგილობრივი გენდერული თანასწორობის საბჭოებთან და პანკისის უხუცეს ქალთა საბჭოსთან.
შეხვედრის ფარგლებში წარდგენილ იქნა საბჭოს **2022-2024** სამოქმედო გეგმა და მუნიციპალიტეტების თვითმმართველი ორგანოების წარმომადგენლების შეკითხვებს გაეცა პასუხი.
შეხვედრაზე მუნიციპალიტეტების წარმატებული გამოცდილება და გენდერული მიმართულებით არსებული გამოწვევები გაზიარებულ იქნა მცხეთის, ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის, ხაშურის, ქარელის, გორის, კასპისა და პანკისის წარმომადგენლების მიერ.

თემატური მოკვლევის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის" შესახებ მონიტორინგის გასვლითი სამუშაო შეხვედრა

მიმდინარე წლის **1-2** სექტემბერს ჩატარდა გასვლითი სამონიტორინგო შეხვედრები „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის" თემატური მოკვლევის რეკომენდაციების აღსრულების პირველადი შედეგების შესახებ და გაიმართა მსჯელობა რეკომენდაციების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით.
შეხვედრებში მონაწილეობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორის საკოორდინაციო კომიტეტის შესაბამისი წევრები.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის" საკანონმდებლო ინიციატივების განხილვა

მიმდინარე წლის **5** სექტემბერს გენდერული თანასწორობის საბჭომ განიხილა ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ მომზადებული ორი ინიციატივა - სტატისტიკის წარმოებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები და ადგილობრივ დონეზე უწყებათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმის შემუშავება.
შეხვედრაზე გაზიარებული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, საბოლოო პროექტი გაზიარებული იქნება ინიციატივებთან დაკავშირებულ ყველა მხარესთან.

მორიგი სამუშაო შეხვედრა მსხვერპლის კომპენსაციის საკითხზე

მიმდინარე წლის **12** სექტემბერს გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს მორიგ სამუშაო შეხვედრაში მსხვერპლის კომპენსაციის საკითხზე.
შეხვედრის განმავლობაში განხილული იქნა ოჯახში ძალადობის ან/და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის პროექტის შესახებ წარმოდგენილი უკუკავშირი.
შეხვედრას ესწრებოდნენ შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საინფორმაციო ბიულეტენი | სექტემბერი

საბჭომ სექტემბრის თვეში 3 განცხადება გაავრცელა

8 სექტემბრის განცხადებით საბჭომ ფემიციდის გამოვლენის, აღკვეთისა და პრევენციის შესახებ სისტემური შესწავლის შესახებ განცხადება გამოაქვეყნა. აღსანიშნავია, რომ პარლამენტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ფემიციდის შემთხვევების გამოვლენის, პრევენციისა და აღკვეთის საკითხებს, მათ შორის, არსებულ გამოწვევებსა და ფემიციდის შემთხვევათა პრევენციის სისტემის გაუმჯობესების შესაძლებლობებს.
სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფარგლებში ყურადღება გამახვილდება იმ ფაქტორების გამოვლენასა და გაანალიზებაზე, რაც გავლენას ახდენს ფემიციდის შემთხვევების რაოდენობაზე. კერძოდ, გაანალიზდება ამ მიმართულებით სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობა და არსებული ხარვეზები, მედიასაშუალებების მიერ ფემიციდის შემთხვევების გაშუქების სტანდარტები, ასევე, საზოგადოების ცნობიერების ხარისხი და მისი გავლენა ფემიციდის დანაშაულზე.
20 სექტემბრის განცხადებით პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო გამოეხმაურა ფემიციდის თემაზე დისკუსიის იმგვარი ფორმით გაშლას, როგორც ეს ერთ-ერთმა ტელევიზიამ დააანონსა. მან აღნიშნა, რომ მედიას საკვანძო როლი უჭირავს ქალების მიმართ ძალადობის დაგმობასა და საზოგადოების ცნობიერების სწორად ჩამოყალიბებაში და იმედი დაიტოვა, რომ აღნიშნული ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკა არ დაუშვებდა არაგენდერულად სენსიტიური გადაცემის მსგავსი ფორმით გაშვებას ფართო საზოგადოების წინაშე.
26 სექტემბრის განცხადებით საბჭო მიესალმა ოპოზიციონერი ქალი დეპუტატების სოლიდარობას კულტურის მინისტრის, თეა წულუკიანის მიმართ.
განცხადებაში კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი საბჭოს ინტერპარტიულ წარმომადგენლობას და აღინიშნა, რომ საბჭოს საქმიანობაში პრიორიტეტია არა პოლიტიკური შეხედულებები, არამედ ადამიანი, როგორც ღირებულება და შესაბამისად, თანასწორი, სოციალური, ინკლუზიური და შესაძლებლობებით მდიდარი საზოგადოება.

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრები ბელგიის სამეფოს ფედერალური პარლამენტის ბელგია-საქართველოს საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარეს, მარკ დემესმაეკერს და მის კოლეგებს შეხვდნენ

მიმდინარე წლის **17-21** სექტემბერს გაიმართა ბელგიის სამეფოს ფედერალური პარლამენტის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის ვიზიტი საქართველოში.
შეხვედრაზე სტუმრები დაინტერესდნენ გენდერული საბჭოს საქმიანობით და საბჭოს სამოქმედო გეგმით, სტამბოლის კონვენციის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობით. შეხვედრაზე განხილულ იქნა პროგრამები და ინიციატივები ქალების, როგორც ეკონომიკური გაძლიერების, ასევე პოლიტიკური გაძლიერების მიმართულებით; აგრეთვე, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხები.

საინფორმაციო ბიულეტენი | სექტემბერი

ნინო წილოსანი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს შეხვდა

მიმდინარე წლის **15** სექტემბერს, საბჭოს თავმჯდომარე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის წევრს, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეს შეხვდა.
მხარეებმა შეხვედრაზე ყურადღება იმ რეფორმებზე გაამახვილეს, რომლებსაც ცენტრალური საარჩევნო კომისია გენდერული მიმართულებით ახორციელებს. აგრეთვე ისაუბრეს იმ პრაქტიკულ ნაბიჯებზეც, რომლებსაც კომისია აღნიშნული მიმართულებით მომავალი საპარლამენტო არჩევნებისათვის გეგმავს.

საბჭოს წევრები საქართველოში ვიზიტით მყოფ ყირგიზეთის პარლამენტისა და ქალთა ფორუმის წევრებს შეხვდნენ

მიმდინარე წლის **28** სექტემბერს საბჭოს წევრები საქართველოში ვიზიტით მყოფ ყირგიზეთის პარლამენტისა და ქალთა ფორუმის წევრებს შეხვდნენ. საბჭოს წევრებმა სტუმრებს გააცნეს მათი საქმიანობა გენდერული თანასწორობის მიმართულებით.
სტუმრები დაინტერესდნენ ევროკავშირის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების პროგრესითა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით საკანონმდებლო შტოების მიერ განხორციელებული საკვანძო აქტივობებით.

ბათუმსა და ოზურგეთში „ქალებისა და გოგოებისთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ თემატური მოკვლევის ფარგლებში გასვლითი სამუშაო შეხვედრები ჩატარდა

მიმდინარე წლის **29** და **20** სექტემბერს გენდერული თანასწორობის საბჭო „ქალებისა და გოგოებისთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ თემატური მოკვლევის ფარგლებში მორიგი ვიზიტით ეწვია ბათუმისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებს.
საბჭოს წარმომადგენლები ფოკუს ჯგუფების ფარგლებში შეხვდნენ თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებს, ადგილობრივ დონეზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მეწარმე ქალებს, რომლებმაც არაერთი პრობლემა გამოკვეთეს ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის კუთხით.